



**სახელი, გვარი -** იოსებ ვარძელაშვილი  
**დაბადების თარიღი -** 6. 02.1985 წ.

***განათლება:***

1991-2002 მუხრანის საშუალო სკოლა წარჩინებით.

2002-2005 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი წარჩინებით, იურისტის კვალიფიკაცია.

2006-2008 ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრატურა სისხლის სამართლის სპეციალიზაციით, სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხი.

2011-2016 ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურა - სისხლის სამართლის მიმართულებით, სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხი.

***სამუშაო გამოცდილება:***

2008 წლის თებერვლიდან 2013 წლის მარტამდე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამოსამართლო ეთიკისა და დისციპლინური სამართალწარმოების დეპარტამენტის სისხლის სამართლის საქმეებზე დისციპლინური სამართალწარმოების სამმართველოს კონსულტანტი.

2011 წლის დეკემბრიდან 2012 წლის დეკემბრამდე სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს პრობაციის ეროვნული სააგენტოს

პირობითი მსჯავრის გაუქმების საკითხთა განმხილველი მუდმივმოქმედი კომისიის წევრი.

2012 წლის მარტიდან დღემდე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მოწვეული ლექტორი.

2013 წლის თებერვლიდან 2017 წლის აგვისტომდე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის აკადემიის მოწვეული ლექტორი.

2013 წლის მარტიდან 2020 წლის მარტამდე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამოსამართლო ეთიკის დეპარტამენტის სისხლის სამართლის საქმეებზე სამოსამართლო ეთიკის სამმართველოს უფროსი.

2013 წლის 12 ნოემბრიდან 2014 წლის ნოემბრამდე საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მუდმივმოქმედი კომისიის წევრი.

2015 წლის ივნისიდან 2016 წლის ივნისამდე საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პრობაციის ეროვნული სააგენტოს პირობითი მსჯავრის გაუქმების საკითხთა განმხილველი მუდმივმოქმედი კომისიის წევრი.

2016 წლის 28 ივლისიდან 2017 წლის 28 ივლისამდე საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს არასრულწლოვანთა საქმეების განმხილველი ადგილობრივი საბჭოს წევრი.

2017 წლის იანვრიდან 2019 წლის იანვრამდე საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

2017 წლის მარტიდან 2018 წლის სექტემბრამდე საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი.

2017 წლის 28 ივლისიდან 2019 წლის აგვისტომდე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - სპეციალური პენიტენციური სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს მესამე ადგილობრივი საბჭოს წევრი.

2017 წლის 1 სექტემბრიდან 2018 წლის 1 ნოემბრამდე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის ასოცირებული პროფესორი.

2017 წლის ოქტომბრიდან დღემდე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი.

2018 წლის სექტემბრიდან 2019 წლის 30 მაისამდე საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

2019 წლის იანვრიდან ივნისამდე დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი.

2019 წლის 30 მაისიდან დღემდე საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის სრული პროფესორი.

2020 წლის 17 მარტიდან დღემდე საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის წევრი.

### ***ტრეინინგები და კვალიფიკაცია:***

2007 წ. – პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდა.

2009 წლიდან 2012 წლამდე – გოეთეს ინსტიტუტის მსმენელი (C1.3).

2010 წ. – მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციით.

2011წ. – გოეთეს ინსტიტუტის სასერთიფიკატო გამოცდა (B2).

2012 წ. აგვისტო – მიიღო მონაწილეობა გაცვლით სემინარში (თბილისი–ბერლინი), გააკეთა მოხსენება თემაზე: „სისხლისსამართლებრივი ნორმები ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის თვალსაზრისით“ (გერმანულად). ხოლო 2013 წლის აგვისტოში იყო ამავე სემინარის ორგანიზატორი.

2016 წლის 21 ივნისს, წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „სასჯელის მიზნები“ და მიენიჭა სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხი.

2017 წლის მაისში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ქართულ-გერმანულ საერთაშორისო კონფერენციაზე გააკეთა მოხსენება თემაზე: „სასჯელის დანიშვნის პრობლემა სასამართლო პრაქტიკაში“.

### **სამეცნიერო ნაშრომები:**

2013 წელს გამოაქვეყნა სტატია: „ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციისა და სასჯელის მიზნების ურთიერთმიმართების პრობლემა“, სამართლის ჟურნალი, №2, 2013.

2014 წელს გამოაქვეყნა სტატია: „დანაშაულის დაფარვა და შეუტყობინებლობა (საკანონმდებლო სრულყოფისათვის)“, მზია ლეკვეიშვილი - 85, საიუბილეო კრებული, თბილისი, 2014.

2016 წელს გამოაქვეყნა სტატია: „პირობითი მსჯავრის დანიშვნა და გაუქმება“, გურამ ნაჭყებია - 75, საიუბილეო კრებული, თბილისი, 2016.

2016 წელს გამოაქვეყნა მონოგრაფია: სასჯელის მიზნები, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2016.

2017 წელს მისი თანაავტორობით (მაია ივანიძე, ნონა თოდუა, თამარ მახარობლიძე) გამოაქვეყნდა წიგნი: „არასრულწლოვანთა კანონმდებლობის ანალიზი და სასამართლო პრაქტიკა“, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2017.

2017 წელს გამოაქვეყნა სტატია: „არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის, როგორც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის უმნიშვნელოვანესი პრინციპის მნიშვნელობა სასამართლო პრაქტიკაში“, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, №1, თბილისი, 2017.

2018 წელს გამოაქვეყნა სტატია: სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება ქმედითი მონაწილების გამო, გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი, მეორე გამოცემა - აგვისტო, 2018 წელი.

2019 წელს გამოაქვეყნა სტატია: არასრულწლოვნის მიმართ სასჯელის სახით შინაპატიმრობის დანიშვნის ზოგიერთი საკითხი (სასამართლო პრაქტიკის ანალიზი) - ინგლისურ და რუსულ ენაზე, სამხრეთ კავკასიის იურიდიული ჟურნალი, მე-9 გამოცემა, 2019/2020.

2020 წელს გამოაქვეყნა წიგნი: სასჯელის დანიშვნის ზოგიერთი საკითხი (სასამართლო პრაქტიკის ანალიზი) თბილისი, 2020.

ამასთან, არის რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომის რეცენზენტი.

### **კომპიუტერული პროგრამები:**

Windows, MS Word, MS Excel, MS Power point.